

პროგრამის სახელწოდება

სასტუმროს გაყიდვები და მარკეტინგი(HOTEL SALES AND MARKETING)



პროგრამის სახე: მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: I-VII კვირა - 12 საათი, VIII კვირა - 16 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ასაკი-18 წელი

აპლიკანთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები : შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელიც შეძლებს სასტუმროში გაყიდვებისა და მარკეტინგული საქმიანობის შესრულებას სტანდარტების შესაბამისად; შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა;

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო სასტუმრო ქსელის „გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურის“ წარმომადგენლების ჩართულობით, სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სასტუმროს გაყიდვები და მარკეტინგი“ სწავლა შეუძლია ნებისმიერ პირს მინიმუმ 18 წლის , რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს სასტუმროს გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურში. სწავლება ხორციელდება 8 კვირის მანძილზე I-VII კვირა 12 საათი, ხოლო VIII კვირა 16 საათის დატვირთვით; პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში; საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება დისტანციურად ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით; კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით;

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ✓ მარკეტინგის საფუძვლების განსაზღვრა
- ✓ ახალი მომსახურებების შერჩევა და დაგეგმვა
- ✓ მომსახურების მიწოდება მიზნობრივი ჯგუფისათვის
- ✓ საქმიანი, სოციალური და სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება

დასაქმების სფერო: პერსონალური მომსახურებები (ვიწრო სფერო)